



VEMURAFENIB - ZELBORAF®

რა არის ZELBORAF-ი

მოლეკულის აღწერა	აღწერა
ვემურაფენიბი	240 მგ ტაბლეტი: წითელი, ოვალური 

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის მგ/დღეში, ანუ 240 მგ-იანი ტაბლეტი, რომელიც უნდა მიიღოთ 2-ჯერ დღეში, ყოველდღე.

ტაბლეტები გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების, გატეხვის, დაღეჭვის ან განზავების გარეშე. მიიღეთ ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეთ. დავიწყების ან ღებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

2 მიღება დღეში, ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეთ									
უნწყვეთლივ	 დ1	 დ2	 დ3	 დ4	 დ5	 დ6	 დ7		 დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციებს, მაგნიუმის დონის) და კლინიკურ მეთვალყურეობას (ელექტროკარდიოგრამა, დერმატოლოგიური და ოფთალმოლოგიური მონიტორინგი).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და სხვა მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

ZELBORAF®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც



იღებთ

მაგალითი: მოერიდეთ კრაზანას, გრეიფრუტის წვენის, ბოლდოს, ფიკუსის, აზიური ჟენშენის, სევილიური ფორთოხლის, პასიფლორას, ბაბუნაწვერას ZELBORAF®-თან ერთად მიღებას.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	ტკივილი: სახსრების, კიდურების, ზურგის, თავის ტკივილი კანის დარღვევები: კანის გამონაყარი, მზის სხივებზე მგრძნობელობა (ფოტომგრძნობელობა), ქავილი, თმის ცვენა, კანის გასქელება (ჰიპერკერატოზი), სიმსივნეები (კეთილთვისებიანი ან ავთვისებიანი), აკნე, ხელისგულების, ფეხის ტერფების და ხახუნის უბნების ანთება საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: გულისრევა, დიარეა, ლებინება, მადის დაკარგვა, კუჭის შეკრულობა, გემოს დარღვევა ბიოლოგიური ანალიზის დარღვევები: ღვიძლის ფუნქციის დარღვევა, ნეიტროფილების რაოდენობის შემცირება (ნეიტროპენია) სხვა: დაღლილობა, თავბრუსხვევა, კიდურების შებერილობა (შეშუპება), ხველა
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	კანის დარღვევები მეჭეჭების ან საეჭვო დაზიანების გაჩენა მტკივნეული კანი ან კანზე მოწითალო კოპი, რომელსაც თან ახლავს სისხლდენა ან არ შეხორცდება ხალის ზომის ან ფერის შეცვლა კანის მნიშვნელოვანი ბუშტუკების ან ძლიერი აქერცვლის გაჩენა საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები მნიშვნელოვანი და/ან სწრაფი წონის დაკლების შემთხვევაში ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში. 24 საათის განმავლობაში დაღევის და/ან დაახლოებით 48 საათის განმავლობაში ჭამის შეუძლებლობა. კვირაში 3-ზე ნაკლები კუჭში გასვლა ტკივილები, რომელიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში თავის ტკივილები ტკივილი ან ანთება ხელებსა და ფეხებში უჩვეულო და აუხსნელი კუნთების ტკივილი თვალის პრობლემები თვალის ტკივილი, ცრემლდენა ან სინითლე, მხედველობის დაბინდვა ან სინათლეზე მგრძნობელობა ალერგიის მიმანიშნებელი სიმპტომები ქავილი გამონაყართან ერთად სახის, ტუჩების, ენის და/ან ყელის შეშუპება, რაც იწვევს ყლაპვის ან სუნთქვის გაძნელებას გულის დარღვევის მიმანიშნებელი სიმპტომები სუნთქვის უკმარისობა, გულის ფრიალი
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს ან შეშუპების შემთხვევაში.
	ხელებსა და ფეხებზე: წაისვით ხელებსა და ფეხებზე დამატენიანებელი კრემი ან რძე და/ან შემახორცებელი კრემი

კანის მოვლა	(ძლიერი შეზღუდვის გარეშე). მოერიდეთ ხელებისა და ფეხების სიცხესთან (ცხელ წყალთან) შეხებას. მოერიდეთ ხახუნის ან წყლულების გამომწვევ აქტივობებს და მოერიდეთ მჭიდრო ტანსაცმლის, წინდებისა და ფეხსაცმლის ტარებას. სხეული: უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას.
თმის ცვენა	გამოიყენეთ რბილი შამპუნი (ჩვილებისთვის განკუთვნილი) მცირე დოზით. უპირატესობა მიანიჭეთ რბილ კბილის ჭაგრისს. მოერიდეთ თმის ძალიან ხშირად დაბანას. მოერიდეთ სითბოს წყაროებს (ფენი, ცხელი ბიგუდები, თმის უთოები), თმის შეღებვას, მელირებას და ქიმიურ დახვევას.
მზისგან დაცვა	აუცილებელია გამოიყენეთ მზისგან დამცავი კრემი და მოერიდეთ მზის ზემოქმედებას. უპირატესობა მიანიჭეთ შემდეგ ტანსაცმელს: გრძელმკლავიანი და ყელიანი, გრძელი შარვალი და ქუდი.
დაღლილობა	ამჯობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
შეშუპებები	მოერიდეთ მჭიდრო ტანსაცმელს, წინდებსა და ფეხსაცმელს ააწყვეთ ფეხები სიმაღლეზე.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. მოერიდეთ უმ ხილს და ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს, ყავას და ალკოჰოლს. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
კუჭის შეკრულობა	უპირატესობა მიანიჭეთ ბოჭკოვანით გამდიდრებულ დიეტას. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
გემოს შეგრძნების დარღვევები	უპირატესობა მიანიჭეთ თბილ ან ცივ საკვებს პატარა რაციონით რამდენჯერმე დღეში. მოერიდეთ სამზარეულოს მეტალის ჭურჭელს.
წონის დაკლება	უპირატესობა მიანიჭეთ უფრო კალორიულ საკვებს და „გემრიელი კვებას“.